თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7758201

ნომერი: AR11122649

თარიღი : 23.12.2025

გაცემის თარიღი : 30.12.2025

გაცნობის თარიღი : 31.12.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა, N 9ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქრისტინა შარაშენიძე პ/ნ 17001029677
- ვანი ს. ტობანიერი 1–ლი ქ. N 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 დეკემბრის №7736742 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 23 დეკემბრის №AR11122649 განცხადებით მომართა ქრისტინა შარაშენიძემ და მოითხოვა სამსახურის 2025

წლის 10 დეკემბრის №7736742 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 დეკემბრის №7736742 ბრძანებით, №01.13.03.023.089 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7747024 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 10 დეკემბერის №7736742 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა: 20504.1 კვ.მ., საერთო ფართობად: 28151.4 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 18 დეკემბრის №7747024 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 20504.1 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 6442.4 კვ.მ., საოფისე ფართობი 586.4 კვ.მ-ის ნაცვლად 588.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1027.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1058.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1039.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1267.1 კვ.მ., დამხმარე ფართობი 265.6 კვ.მ-ის ნაცვლად 224.5 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 4729.1 კვ.მ-ის ნაცვლად 4834.5 კვ.მ., საერთო ფართობად 28151.4 კვ.მ-ის ნაცვლად 14415.4 კვ.მ., შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაეკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 დეკემბრის №7736742 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 6442.4 კვ.მ., საოფისე ფართობად: 588.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 1058.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 1267.1 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 224.5 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 4834.5 კვ.მ., საერთო ფართობად: 14415.4 კვ.მ.,
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 დეკემბრის №7736742 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 დეკემბრის №7736742 და 2025 წლის 18 დეკემბრის №7747024 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.